საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

## სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

# ბრძანება

2 11 2020 წ. №152 ქ. თბილისი

**საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების კინომცოდნეობის, კინოჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის „წერე ქართულ კინოზე" კონკურსის გამარჯვებულთა გამოსავლენი კომისიის შექმნის თაობაზე**

სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ" ქვეპუნქტისა და მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1.საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების კინომცოდნეობის, კინოჟურნალისტიკის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის კონკურსის „წერე ქართულ კინოზე" გამარჯვებულთა გამოსავლენად 2020 წლის 2 ნოემბერს შეიქმნას კომისია 3 წევრის შემადგენლობით:

1. დავით გაბუნია (მწერალი);
2. ირინე დემეტრაძე (კინომცოდნე);
3. არჩილ შუბაშვილი (კინომცოდნე);

2. წინამდებარე ბრძანებით შექმნილი კომისიის წევრთათვის ანონიმურია განსახილველი რეცენზიების ავტორების ვინაობა.
3. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღებულ იქნას ხმათა უბრალო უმრავლეოსობით.
4.გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები კომისიის წევრებთან და შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვროს კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება და ხელშეკრულების ვადა.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
6. დაევალოს კინოცენტრის აი ტი სპეციალისტს თორნიკე ბარდაველიძეს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.
7.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი გაგა ჩხეიძე